№ 32

პარასკევი, 11 თებერვალი 1894

1877—1894

# ივერია

№ 32

პარასკევი, 11 თებერვალი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

„ივერია"
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
„ივერიის" რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

ქართული თეატრი
კვირას, 13 თებერვალს
ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
ამ სეზონში უკანასკნელად წარმოდგენილი იქნება
**სამშობლო**
დრ. 5 მოქ. დ. ერისთავისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
დასაწყისი 7½ საათზედ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**ტფილისის საადგილ-მამულო სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტისაგან**

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა ამით აცხადებს დამფუძნებელ და მსესხებელ წევრთა საყურადღებოდ, რომ კომიტეტი, თანხმად საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისა 21 აპრილს 1893 წ., ორის კვირის წინად, ვიდრე დანიშნული იქმნება საზოგადო კრება, მოისპობა თხოვნების მიღება დამფუძნებელ წევრად შერიცხვისა.

(3—2)

## ტფილისი, 11 თებერვალს

პატივცემულმა ბატონმა კაიდანოვმა მოაგონა ჩვენს საზოგადოებას ერთი სრულიად მივიწყებული, მაგრამ ფრიად საგულისხმო და საჭირო საგანი.

8-ს ამ თვეს ტფილისის ძველმა და ახალმა სტუდენტობამ გადაიხადა პეტერბურგის უნივერსიტეტის 75 წლის საიუბილეო სადილი, რომელზედაც ბატონმა კაიდანოვმა წარმოსთქვა შემდეგი: «როდესაც ამ რამდენიმე წლის წინად ჩვენ ვიდღესასწაულეთ მოსკოვის უნივერსიტეტის 125 წლის იუბილე, მაშინ ტფილისის ქალაქის საბჭომ დაადგინა, რომ ყოველ წელს ქალაქის შემოსავლიდან გადადებულ იქ ნას 10,000 მ. კავკასიის უნივერსიტეტის დასაარსებლად. მას აქეთ ეს კაპიტალი იზრდება, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქალაქის შეწირულობა არ შემცირდება, და ჩვენ ვეღირსებით კავკასიის უნივერსიტეტის დაარსებას».

ბ-ნის კაიდანოვის პირით ჰღაღადებს თვით ჭეშმარიტება, რადგანაც უნივერსიტეტის უქონლობას ჩვენი ქვეყანა დიდი ხანია შესამჩნევად გრძნობს. თუმცა ამ საგნის შესახებ ლაპარაკი მიწყნარებულია, მაგრამ ეს საქვეყნო საჭიროება, მაინც ისევ აუცილებელ საჭიროებად რჩება და კარგი იქნება, რომ ამ აზრს ერთი რამ ეშველებოდეს.

რამდენათაც გვახსოვს უნივერსიტეტის დასაარსებლად ქუთაისის თავად-აზნაურობამაც განაცხადა სურვილი დახმარებისა და კიდეც იყო დასახელებული ის რაოდენობა ფულისა, რომელსაც იგი ჰპირდებოდა ამ საქმისათვის.

მაგრამ კეთილი განზრახვა ისევ განზრახვად რჩება, და პატივცემულ რუსს კაიდანოვს რომ არ მოეგონებინა უნივერსიტეტის საჭიროება, ჩვენ, ეს საგანი არც-კი გვახსოვდა.

მართალია უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის დასაარსებლად იმდენი საშუალებაა საჭირო, რომ ჩვენ საკუთარის ღონით, უთუოდ ვერ შევსძლებთ და მთავრობამაც იქნება ვერ იკისროს ამ საშუალების გამოღება, მაგრამ რამდენისამე ფაკულტეტის დაარსება, სადაც ჩვენი ახალგაზრდობა მიიღებს უმაღლესს განათლებას, ეს ხომ უეჭველად შეგვიძლია და მთავრობაც, იმედი უნდა ვიქონიოთ ამაზე დაგვეთანხმება. საჭიროა მხოლოდ, მხნედ და გულ-მოდგინედ შევუდგეთ საქმეს და აღვძრათ მეცადინეობა თვით უმაღლესის მთავრობის წინაშე.

არა გვგონია, რომ მთავრობამ ასეთი თხოვნა საზოგადოებისა უყურადღებოდ დააგდოს, რადგანაც თითონაც კარგად იცის, რომ ჩვენი შერყეული ეკონომიური მდგომარეობა სრულიად უღონოდ გვხდის გავგზავნოთ ჩვენი შვილები შორს, და იქ მივაღებინოთ სწავლა.

ამასთან, ისიც უნდა დავძინოთ, რომ ცივი და სასტიკი რუსეთის ჰავა ხშირად მომაკვდინებლად ჰმოქმედებს საქართველოს თბილის და ფაქიზის ჰავის შვილზედ და ჯან-მრთელი ყმაწვილები გვიბრუნდებიან სახლში დაჭლექებულნი და მამაკვდავნი.

გარეშე ამ მოსაზრებისა, რამდენისამე ფაკულტეტის დაარსება განაახლებს ჩვენს ცხოვრებას, შეიტანს ხალხში სწავლისა და მეცნიერების შუქს, გამოაღვიძებს და წასწევს წინ ქვეყნის გონებითს და ზნეობითს განვითარებას. ხოლო ყოველი ესე, ცხადია, სასარგებლო იქნება თვით სახელმწიფოსათვის, რადგანაც საწყაო სახელმწიფო სიმდიდრისა და ძლიერებისა—იგივე გონებითი და ნივთიერი სიმდიდრეა იმის ქვეშევრდომ ერისა.

მეველე

## ახალი ამბავი

*** ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ. შერვაშიძე პეტერბურგიდგან იუწყება, რომ ტფილისში მომავალ მარტის 10 რიცხვს დავბრუნდებიო.

*** ოთხშაბათს, 9 თებერვალს, ქართულმა დრამატიულმა დასმა ბ-ნ ვ. გუნიას საბენეფისოდ წარმოადგინა ორ მოქმედებიანი სურათები ვალ. გუნიასი „ცხოვრება" და «ალლუმი,» მის მიერვე გადმოკეთებული ოთხ-მოქმედებიანი ფარსი. მეორე პიესა უკვე ნათამაშევია არა ერთ გზის, ხოლო რაც შეეხება „ცხოვრებას", ამ პიესის აზრი აღებულია მერეჟკოვსკის ოთხ-მოქმედებიან პიესიდგან, რომელიც ჟურნალს „Трудъ"-შია დაბეჭდილი (1893 წ. 1-ლი წიგნი) და, თუ არა ვსცდებით, „Жизнь"-ი ეწოდება. ამ ჟამად ეს ჟურნალი ხელთ არა გვაქვს და არ ვიცით, რამდენად უსარგებლია ქართულის პიესის ავტორს და ამიტომ «ცხოვრების» შესახებ ჩვენს აზრს შემდეგ გამოვსთქვამთ. ეხლა-კი ვიტყვით მხოლოდ, რომ ეს პიესა მეტად გაჭიანურებულია, მაგალითებრ პირველმა მოქმედებამ თითქმის საათ ნახევარს გასტანა, და არც შეესაბამება ჩვენს ცხოვრებას. მებენეფისეს დიდძალი საჩუქრები მიართვეს ვერცხლის ნივთები, ისე წიგნები და სხვა.

*** ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი გვთხოვს საყოველთაოდ გამოვაცხადოთ, რომ ყოველს ქართულს სამკითხველოს, ბიბლიოთეკას, დაარსე-

# ფელეტონი

### პროვინციელების საჩივარი და სათხოვარი *)

(ხმა სოფლელისა)

### III

(დასასრული *)

ჩვენი თავად-აზნაურობა სწორედ საუცხოვო და ალმატებული წოდება იყო ოდესმე. იგი გაჩნდა ჩვენს ცხოვრებაში ძალ-მომრეობით-კი არა; მან თავისი პირადის ღირსებით, მაღალის ზნეობითა და სამშობლოს წინაშე წმინდა ღვაწლით დაიმსახურა პატივი და ღირსება. ჩვენი თავად-აზნაურობა, ვიდრე ჰქონდა მაღალი ზნეობა და სხვა ალმატებული თვისებანი, არ ბაქიაობდა თავის ჩამამავლობითა და გვარის სიძველითა, თუმცა ზოგი ერთი გვარი ქრისტეზედ უძველესი იყო. თუ ოდესმე დაასახელებდა თავის წინაპარს, ეს თავის და სხვის გასამხნევებლად, რადგანაც დასახელებულს უეჭველად ნამდვილი ღვაწლი მიუძღოდა სამშობლოსა და ერის სწინაშე. იგი მუდამ იყო „მტკიცე ხასიათისა და შეურყეველი პატიოსნებისა" რაც ეწინააღმდეგებოდა პატიოსნებას, ვერ აიძულებდი იმის ქმნად, თუნდა თავიც მოგეჭრათ. ბევრს დაუმჯობინებია „სახელოვანი სიკვდილი, ნაძრახის სიცოცხლისათვის". ასეთის მაღალის თვისებისა იყო ჩვენი მოწინავე და მესვეური წოდება. დიადი გონებრივი და ზნეობრივი გავლენა ჰქონდა მთელს ერზედ. თავად-აზნაურთა ღვთის მოყვარეობა, ზნეობრივი სიფაქიზე, მტკიცე ხასიათი, შეურყეველი პატიოსნება, გაჭირვებულთათვის თავის გამოდება, საზოგადო საქმისათვის თავის დადება, ერთობა და ძმობა სწორედ გადამდების სენივით ეფინებოდა ყველა წოდებასა, ყველანი ცდილობდნენ მიებაძნათ თავად-აზნაურთა კეთილ მაგალითისათვის. ჯერ მარტო „მდევარი" თავისი ხასიათით, შინაარსით და ვითარებით ცხადად გვიხატავს რამდენად საუკეთესო ღირსებათა პატრონნი იყვნენ ყველანი წოდებისა და სქესის განურჩევლად.

ახლა-კი ჯერ მარტო მტკიცე ხასიათის და შეურყეველი პატიოსნების მქონებელნი სანთლით საძებარნი არიან ყველა წოდებაში. მიზეზები ბევრია. ზოგს მათგანს ფესვი მეთხუთმეტე საუკუნეში უძევს, მაგრამ ჩვენ მათს განხილვაში არ შევდივართ, ჩვენთვის საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ამ ორმოც-სამოცი წლის წინად დიდ-ძალი უძრავი მამულები ეკუთვნოდა ქართველობას და ეს მამული იყო სრულიად უვალო. ეს გარემოება—რომ ქართველებს დიდი მამულები ეჭირათ და მასთან უვალო მამულები არ იყო ნაყოფი ზეციურის მანანისა, არამედ ნაყოფი იყო მედგარის ბრძოლისა და განუწყვეტელი სისხლის ღვრისა იმათთან, ვინც ამ მამულს წართმევას უქადიდნენ. ამ ბრძოლაში იღებდნენ მონაწილეობას ყველანი: თავად-აზნაურობა, სასულიერო წოდება და გლეხობა, განურჩევლად სქესისა; ასე რომ ამ დიდებულს საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩვენთა ძველთა დედათაც.

ახლა რა ვართ? მწველელ ფურად თავი
ჩვენი გარდვიქციეთ
ის ოჯახს, ის დიდება ჩვენი ხელით დავაქციეთ.

დიდი სიმართლეა პოეტის ამ გოდებაში! ახლა ვემგზავსებით იმ ნასახლარსა, რომლის ნაშთი ცხადად ჰმოწმობს, რომ ოდესმე აქ ოჯახი ყოფილა, რომელშიაც სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა; ხოლო რადგანაც ოჯახის ქუდოსნებს და მანდილოსნებს სიცოცხლის სადუღებელი მასალა—მტკიცე ხასიათი, შეურყეველი პატიოსნება, ერთობა მოძმეთა სიყვარული, ჩაგრულთა და მაშვრალთა შებრალება და დაუღალავი შრომა—გამოჰლევიათ, ოჯახი დაქცეულა, თვითონ მწველელ ფურებად გადაქცეულან; სხვანი სწველიან და სდღვებავენ.

ჩვენ კერძოდ არავის საწყენად არა ვსწერთ ამ სტრიქონებსა და ამიტომ ნება მომეცით კიდევ დიდის მწუხარებით აღვიერო, რომ ოდესმე დიდთა და მცირეთა, ქალთა და ვაჟთა საერთო თვისებანი—ხასიათის სიმტკიცე და პატიოსნება—დღეს სანთლით საძებარია და ეს ორი თვისება აუცილებლად-კი საჭიროა ჩვენის აწინდელ ნივთიერ გაჭირვებიდგან გამოსვლისათვის, ჩვენის ჩვენადვე ყოფნისათვის.

ჩვენში არც ოჯახია ისე მოწყობილი, არც სკოლა და არც საზოგადო ცხოვრება, რომ ჩვენი აწინდელი სულიერი გათახსირება სულიერს სიკეთეზედ შეგვიცვალოს. სკოლა და საზოგადო ცხოვრება შემდგარია სხვა-და-სხვა ელემენტებისაგან, რომელთა მოთხოვნილებანი ერთი მეორეს სძალავენ, მომრეობენ. ესევე ფერი სძევს ოჯახსაც, სადაც ისე არეულია საქმე, რომ, როგორც იტყვიან: „ძაღლი პატრონს ველარ იცნობს". ძველის ოჯახის ცხოვრების საძირკველი შეირყა, მისი წეს-წყობილება, მორთვა-მოკაზმულობა სასაცილო საგნად შეიქმნა. არავინ დააცალა, რომ დროთა მიხედვით, ახალი საოჯახო წეს წყობილება ძველზედ აღმოცენებულიყო; აქ პირდაპირ შემოიტანეს წეს-წყობილება უცხოელთა. ზოგნი არას უთმობდნენ ძველიდგან და ახალს ჰკრივით ერიდებოდნენ, მომეტებულთ-კი ისე აერიათ დავთრები, რომ დაჰკარგეს ყოველი რწმუნება; ძველი და ახალი დომხალივით აურიეს. შედეგი ერთი იყო. ოჯახმა თავისებურება დაჰკარგა. ახალი საფუძვლიანად ვერ შეიძინა, დარჩა ძუძუთა ბალღივით მუდამ გამდლის ანაბარად. ამისთანა ოჯახები მტკიცე ხასიათს ვის ჩაუნერგავდნენ, როდესაც ჯერ თვით არ იყვნენ განმტკიცებულნი; აქ არც პატიოსნებას ჰქონდა ადგილი, რადგანაც საძირკველი თაოსნობისა შერყეული იყო.

დღეს ქართულ ოჯახს თავისებური ხასიათი აღარა აქვს. მისი შეურყევლობა და გულ-წმინდობა საძირკვლიდგან დაძრულია. საკმარისია მცირე

*) იხ. „ივერია", № 31.

ბულს საქართველოში, თუ რუსეთში, იგი აძლევს სრულს უფლებას დაიბაროს მისგან უფასოდ წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიის შუამავლობით თვითო ცალი ყოველის მის მიერ დაწერილის წიგნისა და ამის გარდა სამი მანეთის სხვა ქართული წიგნები.

*** 19 იანვარს მომხდარ არჩევანები ცხენის წყლის არხის გაყვანის შესახებ ქუთაისის გუბერნატორმა დაამტკიცა. საჩივარი ხონის და გუბის ზოგიერთა მცხოვრებლების უყურადღებოთ დატოვებულია. პირველ განყოფილებისათვის, რომელსაც არ ჰყავდა ამორჩეული წევრი დანიშნულია ახალი კენჭის ყრა.

*** 9 თებერვალს, შუადღისას, როდესაც ხალხის მატარებელი მოვიდა ტფილისში რკინის გზის პოლიციამ შეიპყრო ერთი ყაზახი-ჩეჩენი-რომელსაც აბასთუმანში მათ უმაღლესობის გიორგი ალექსანდრეს ძის ესასახლეში ოთხმოც თუმნამდე ფული მოეპარნა და გამოპარულიყო.

*** რვა თებერვალს 132 ვერსზედ რკინის გზის დარაჯს ღამე დაეცნენ ავაზაკები, წაართვეს, რაც რამ გაჩნდა სადგომში, და გაიქცნენ.

*** დღეს ქალაქის გამგეობაში კრება დანიშნული ტეხნიკოსებისა გლდანის ხევის გაყოლებაზე კედლის აშენების ხარჯთ-აღრიცხვის განსახილველად. ეს კედელი უნდა ააშენონ ავჭალის წყაროების განსაკერძოებლად. წყაროების განსაკერძოებლად კედლის აშენება და არხის გამაგრება ამ ხარჯთ-აღრიცხვით უნდა დაჯდეს 5158 მან. 35 კაპ.

*** გუშინ ქალაქის გამგეობამ აცნობა სამკურნალო განყოფილებას, 1893 წლის განმავლობაში ტფილისში გასაყიდად ჩამორეკეს სხვილფეხა საქონელი 98071 სული, წვრილფეხა საქონელი 198073 სული.

*** 10 თებერვალს ამაღლების ქუჩაზედ მცხოვრებმა პანსიონის პატრონმა ყარანგოზოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ სამზარეულოდგან 19 მანეთის ქვაბები და სამი მანეთის ერბო მოპარესო. დამნაშავე მისივე მზარეული ანტონ ავეტისოვია, რომელიც შეიპყრეს და სამართალში მისცეს.

*** ამავე დღეს ერმოლოვის ქუჩაზედ გენერალ-მაიორის თავ. ბარიათინსკის მოსამსახურე ჯარის-კაცმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ დაუკეტავ ყუთიდგან 31 მანეთი მოპარესო. ეჭვი მზარეულის თანაშემწე თედო კერვალიძეზედ გამოაცხადა.

*** 9 თებერვალს ტფილისის სათავადაზნაურო ბანკში კასირს ოთახიდამ 15 მან. ღირებული გიტარა და კალოში მოჰპარეს. ქურდობა სახლის მცველს თედო ზაქაროვს ჰბრალდება.

*** ვერაზე მეჯინიბე შეპელიოვმა ცხენის რკინის გზის ვაგონზედ ქისა იპოვნა, რომელშიაც 3 მან. და 30 კ. იყო. ფული რკინის გზის უფროსს წარუდგინა და უფროსმა-კი ტფილისის პოლიცმეისტერს გადასცა.

## დამაკვირდი

კრიტიკა ადვილია, გაკეთებაა ძნელი.

**

ბევრად უკეთესია მტერს აჯობო სულის კეთილშობილებითა, ვიდრე მუშტის ძლიერებითა.

**

გეშინოდეს შვიდ თავიან ვეშაპისა-კი არა, არამედ ორპირი კაცისა.

კებუსი

## კორესპონდენცია

**ჭოროხის ხეობა**, 6 თებერვალი. მკითხველმა საზოგადოებამ იცის როგორი მთა-გორიანი და ქვა-კლდიანია ეს ჩვენი მხარე, ე. ი. ჭოროხის ხეობა, მთლად ართვინის ოლქი და ზედა და ქვედა აჭარა. აქაურობაში ჰთესვენ პურს, სიმინდსა და ზოგან ქერსაც, მაგრამ რად გინდათ? აქაური ნიადაგი, თუ კვირაში ერთხელ მაინც კარგის, ლაზათიანის წვიმით არ გაძღა, ყველა ეს ნამუშავარი ისე დაიხრუკება სიცხისგან, როგორც აბედი, რასაკვირველია, ქვიანის ნიადაგის წყალობით. ხანდისხან იმისთანა ზაფხული დადგება ხოლმე, რომ, არამც თუ კვირაში ერთხელ თვესა და ორ თვეშიაც ერთხელ თუ ელირსა აქაურ ნიადაგს წვიმა, დიდი ღვთისწყალობაა. მაგალითად, შარშანდელ ზაფხულში სამმა თვემ ისე გაიარა, რომ მიწას, არამც თუ წვიმა, ნამიც არა ჰღირსებია. ძალიან ბედნიერი და ნაყოფიერი ზაფხული ის იქნება ფუხრისათვის, როდესაც ათში ერთს მაინც არ ექნება ჭირნახულის საყიდელი. თითქმის მთლად ართვინის ოლქს, ზედა და ქვედა აჭარას საუფროსოში მცხოვრებთ, სამი-ოთხის თვის სამყოფი ნამუშევარი არ მოუვათ და დანარჩენ დროს ნასყიდის ჭირნახულით უნდა კვებონ ცოლშვილი. მცხოვრებთა რიცხვი სულ ცოტა რომ ვიანგარიშოთ, 80,000 სულზე მეტია, და აი ეს ამოდენა ხალხი ნასყიდის სარჩოთი გამოდის იოლად თითქმის შვიდ-რვა თვეს. კაი მოგცეთ ღმერთმა, კაი იყვეს, რომ ყველას, დასჭირდება ჭირნახული თუ არა, ამ აუცილებელ ყოვლად საჭირო საგნისათვის შეემთხვა ჯიბეში ფული, მაგრამ მაგარიც ის არის, რომ ხუთში ერთს არ მოეპოვება ეს წყეული ძვირფასი ნივთი და იძულებულია სესხს და მინეთს მიჰმართოს. ზედა-და-ქვედა ჭარლებს კიდევ არა უშავთ-რა, რადგან იმათზე ახლოა კახაბერი, სადაც ძალიან ბლომად მოდის სიმინდი; მოდის მხოლოდ მაშინ, თუ წვიმიანი ზაფხული არ დაუდგა, რადგან ძალიან სწყენს კახაბრის ნესტიანსა და ჭაობიანს მიწას წვიმა. ამახაით კახაბრიდგან აჭარლებს კიდევ ადვილად შაუძლიათ სიმინდის ყიდვა, თუ ორიოდე გროში აბადიათ. ერთ დღეზ ჩავა და მეორე დღეს მოასწრობს „კაკლის“ მიტანას დამშეულ ცოლ-შვილისათვის. მაგრამ ართვინის ოლქისთვის კახაბერი ძრიელ შორს არის და დიდ ეზეითს (ჯაფას) სწევს ფუხარა, ვიდრე ჩავიდოდეს და ამოვიდოდეს, ხუთი-ექვსის დღის სავალ მანძილზედ. მომეტებულად უფრო ისინი არიან გაჭირებაში, ვისაც თავისი ცხენი და ჯორი არა ჰყავს; ხოლო ამისთანები რამდენი არიან, ამას ვინ მოსთვლის; ისინი ზურგით ეზიდებიან სარჩოს. ასეა თუ ისე, კიდევ კარგია, რომ ჯერ-ჯერობით კახაბერში შოულობენ სიმინდს საყიდლად. კახაბერს ჩასვლა იმდენად არ უჭირთ, რადგან მიჩვეულნი არიან იქ ჩასვლა-ამოსვლას. მაგრამ, სამწუხაროდ, ხუთიექვსი წელიწადი არ გავა, რომ იქაც მოისპოს ეს ერთად ერთი ფუხრის იმედი, რადგან კახაბრის მიწა თითქმის ნახევარზე მეტი ზღვაში ჩაიტანა ჭოროხმა. მე რომ კახაბერი მინახავს ამ ოთხი-ხუთის წლის წინად, დღეს თითქმის მესამედი ნაწილი წაღებული აქვს ჭოროხს, და აწიც უნდა ვიფიქროთ, კიდევ ხუთი-ექვსი წელიწადი არ დასჭირდება ჭოროხს, რომ მთლად კახაბრის საყანეები ბათუმამდის ჩარეცხოს. მაშასადამე, საფიქრებელია, რომ ბათუმის ახალ და მშვენიერ შენობათაც არ ელის კაი დღე და იმათაც გამოუთხრის ძირს, თუ თავის დროზე არ ილონებენ რასმე, ვისიც ჯერ არს, შეუბრალებელი ჭოროხის წინააღმდეგ. ჯერ-კი კახაბრის მკვიდრნი ამ საქმეს გულგრილად უცქერიან, თუმცა კარგად ჰხედვენ, რომ ყოველ ზაფხულობით, როდესაც ლანქერის წყალი მოდის მთებიდგან, თითო ვერსი საყანე მიაქვს თან.

ბათუმიდგან კახაბრის მინდორზე გზა-ტკეცილი მიდის არტაანსა და ახალციხის მხარეს. ინჟენერმა შეჰნიშნა, რომ გზა უნდა წამართვას ჭოროხმაო და ერთ ალაგს შარშან ყორე გაუკეთა კაპანდიდგან გზის დასაფარავად, მაგრამ იმ ერთმა ყორემ მაინც ვერ დაიხსნა გზა ჭოროხის ხელიდგან და ნახევარ ვერსის მანძილზედ კიდევ წაიღო გზა. ამ ერთ ყორესთან ჭოროხის ნაპირას კიდევ რომ გააკეთონ 25—30-მდის, მაშინ იქნება გადურჩეს ჭორხის ზვირთებს კახაბრის საყანეები და აგრეთვე ბათუმიცა. თქვენი მტერია, თუ ასე თავის ნებაზე მიუშვეს ჭოროხი: დიდ ზარალს მისცემს ამ ქვეყანას, კახაბრელებისათვის ხომ დაღუპვა იქნება რადგან 100,000 ფუთ სიმინდზე მეტს ჰყიდიან წელიწადში და ფუთი 50 კ. რომ ვიანგარიშო, მაშინაც 50 ათას მანათს შეადგენს, რაიცა კაი დასაკლისია.

ი. ჯაიანი

სოფ. ბორჩხა

**სოფ. ურიათუბანი** (თელავის მაზრა), 28 იანვარს. იანვრის 18-ს სოფ. ურიათუბანში აკურთხეს ახლად აშენებული ეკკლესიის ეზოში ორსაკლასო ოთახიანი სამრევლო სკოლა. აქაურმა მღვდელმა სკოლის ზედამხედველმა და მმართველმა მ. იროდიონ ჩეკუროვმა გადიხადა სავედრებელი პარაკლისი. ხალხი საკმაოდ დაესწრო სხვათაშორის სოფლის მოხელენი, და აქაურ ეკკლესიის და სამრევლო სკოლის მზრუნველი თ. ჭავჭავაძე და სხვ. მღვდელმა წარმოსთქვა სკოლის შესახებ შესაფერი სიტყვა და მდაბიურად აუხსნა ხალხს სწავლის მნიშვნელობა.

ბოლოს ხალხმა მადლობა გადაუხადა მღვდელს, რომელმაც ეკკლესიის ეზო-ყურე შეამკო ათასნაირ ხეხილებითა და ყვავილებით და ახლა კიდევ თავის მეცადინეობით და ხარჯით ააშენა ეზოში მშვენიერი სკოლა, სადაც სამოცამდე ქალი და ვაჟი დაიარება და გულმოდგინედ სწავლობენ... იმედია, აქაური საზოგადოება გაუწევს შემწეობას და თანდათან განაკარგებს სკოლისა და მასწავლებლის მდგომარეობას.

თუ რამდენი ზარალი მოაქვთ სოფლის მკითხავებს, ეს ცხადია ყველასთვის. მაგრამ აი რამდენი მაგალითი კიდევ. დედას გაუხდა შვილი ავად და მაშინათვე ს. კალაურში მიჰმართა მკითხავს. მკითხავმა იმედი გადუწყვიტა, შვილი არ მოგირჩებაო. დედა დადარდიანებული გამობრუნდა და შვილის მორჩენაზედ იმედ-გადაწყვეტილმა ვეღარ გაუძლო დარდს ავად გახდა და თქვენი ჭირი წაიღო. შვილი-კი მოურჩა და თავად-კი გამოეთხოვა ამ წუთი-სოფელს. მეორე მაგალითი: ამავე კალაურულ მკითხავთან, შორის სოფლიდგან, ერთი ავადმყოფი კაცი მოვიდა საკითხავად. მკითხავმა უთხრა: «შინამდის ვეღარ მიახწევო». გამობრუნდა საწყალი ავადმყოფი კაცი და გზაში დარდმა გადაიტანა. საწყალი მიცვალებული, სამადლოდ დამარხეს. მკითხავი ხშირად ურჩევს ავადმყოფს, ან თეთრ გიორგიში, ან ალავერდში წასვლას და რამდენისამე ღამის თევას. ავადმყოფის პატრონიც ასრულებს მკითხავის ბრძანებას, მიჰყავს ავადმყოფი სალოცავად; გზაში ან ცივდება, ან ინჯღერებს, არა სწამს დაწყებულ საქმის ხანგრძლივი სიცოცხლე.

---

ნიავი ცხოვრებისა, რომ ეს ორი დედა-ბოძი ყოველივე, სამკვიდრო სათნოებისა დასძრას ადგილიდგან და მათი მაგიერობა დაიჭიროს ყოველ გვარმა ქვენა გრძნობამ, უადამიანობამ, ოღონდ იგი შემოსილი იყოს გარეგან ყვავილებით და თვალის ამაჭრელებელ მორთულობითა. ზნე-დაცემულობის გაშვენება გალამაზებაში ისე დახელოვნდა დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ერი და მღვდელი, რომ არა მგონია, ამაში ჩვენ გვაჯობოს ვინმემ. თუ გაჰბედე რომელსამე სიავეზედ ხმის ამოღება, მაშინვე გამოჩნდებიან მოშველენი: მოგვცვივიან მთქმელსა და, კბილების ჩამტვრევას თუ გადურჩი, იმას-კი ველარ გადურჩები, რომ ნათქვამი თავზედ არ დაგამსხვრიონ. რაგინდა, სულო და გულო, რომ აქ არ ითქვას სიავის გასამართლებად და გასაშვენებლად. «მართალია, ეუბნები შენ, ღვიძლი შვილია იგი გარემოებათა წყობილებისა, მართალია, ასკილზედ ვაშლი არავის უნახავს, მაგრამ ისიც მართალია რომ ვისაც ვაშლი უნდა, ასკილის მაგიერ ვაშლი უნდა დარგოს, აგრეთვე იგი სიავე უნდა იყოს ღიარებული გაბედვით და მისი ადგილი იმისსავე მოპირდაპირე სათნოებას უნდა დაუთმოთ»

როგორ გგონიათ, რად არის ხშირად ასეთი ერთ სულობა სიავისა და უადამიანობისა დაცვაში და რა არის მიზეზი, რომ, როცა დაცვას, მფარველობას ‘ თანაგრძნობას ითხოვს რომელიმე საერთო სიკეთე, მაშინ იგივე ერთობა ნაწილ-ნაწილდება, უმრავლესობა ზურგს უქცევს და სიკეთის დამცველად გამოდის მცირე გუნდი? უმთავრესი მიზეზი ამისი, ჩვენის აზრით, არის უარ ყოფა მომავალზედ ფიქრისა. ყველა ჰზომავს გარემოებათა ავ-კარგიანობას სადღეისოდ. არას დაგიდევს მომავალს, თუნდა იცოდეს კიდეც, რომ ესაა თუ ის თვისება ძირს უთხრის ამ მომავალს! ამიტომ ძნელად იპოება ოჯახი, რომელშიაც უადამიანობას, სიბილწეს მომხრეები არა ჰყვანდეს; რასაკვირველია, სხვა-ჲ-სხვა ოჯახში სხვა-და-სხვა გვარია იგი და საერთოდ ყველაში-კი ეროვნული გათახსირებაა დაბუდებული, იქნება ბევრმა პირში ბურთი ჩამდოს ეგ რას გაგკვირებია, ეგ ძველის ძველადვე ხშირი სტუმარია ჩვენის ოჯახებისა და ისტორიულ საბუთებით დამიმტკიცოს, რომ ეროვნული დაცემა ზოგჯერ უაღრეს წერტილამდის მიდიოდა, მოძმის სისხლის ღვრითა და სხვ., მაგრამ მე მაინც გავიმეორებ, რომ ასე ყოველგან და ყველა ოჯახის ეროვნულად დაპირქვავება არცერთს საუკუნეში არ ყოფილა, როგორიც ამ საუკუნეშია.

ამისათვის ჩვენთვის დიდად საჭირო ყოველ სიავისაგან ოჯახის გაწმენდა, მისი მკვიდრის და საეროვნო ნიადაგზედ დაყენება. ამას უმეტესად ყოვლისა უნდა მიაქციოს ყურადღება ჩვენმა მწერლობამ. აქ მწერლობამ უნდა ჩაანათოს თავისი სხივი და შემუსროს უკუღმართობა; უნდა მიაწოდოს მტკიცე და მძლეთა-მძლევი მარჯვენა დასათრგუნვად უკეთურებისა და უგვარობისა; უნდა მოერიდოს ნათლია-ნათლი-მამობას, შენიან-ჩემიანობას და პირუთვნელად მიუკერძველად, ფეხ ქვეშ სრესდეს ბოროტებას და მის ხელშემწყობ გარემოებათა; სქელის ჭაპნით უნდა ეწოდეს საზოგადოს სიკეთისადმი; უნდა დაუფრთხოს ძილი ხალხში გაფანტულს ინტელიგენციას, გამოიყვანოს იგი სამუშაოდ საყოველთაო წალკოტში; უნდა მისცეს საზომი ავ-კარგიანობისა, რომ მით აღჭურვილი ოჯახი დაადგეს სწორე და საიმედო გზასა. მხოლოდ მტკიცე ნიადაგზედ დამდგარს ოჯახს შეუძლიან აღზარდოს მტკიცე ხასიათით და პატიოსნებით შემკული შვილები. როცა ამ ორის სათნოებით შეიმოსება ქუდოსან-მანდილოსნობა, მაშინ ყოველი საერთო დაწყობილება აღორძინდება.

ხასიათის სიმტკიცეს და პატიოსნებას რომ არ ვყოფილიყავით მოკლებულნი, არც ამდენი უძრავი მამული ჩამოგვერთმევოდა, არც ამდენი საზოგადო და კერძო დაწყობილებანი დაემხობოდა. ჩვენ თვალწინ რამდენმა საზოგადო დაწესებულებამ დაჰლია სული? რამდენი კერძო, მაგრამ საიმედო, დაწყობილება ჩაიშალა? არ ჩამოვთვლი თითოეულად, რადგანაც იქამდის ბევრია, რომ რამდენიმე მაგალითი მაინც ეცოდინება თვითოეულსა. მხოლოდ ვიკითხოთ: რა არის მიზეზი? ორში ერთი: ან ხასიათის სისუსტე საქმის მმართველთა და გამგეთა, ან უპატიოსნება მათივე. იმ დაწესებულებათ უდგათ სული, რომლის გამგენიც მტკიცე ხასიათისანი და პატიოსანნი აღმოჩნდნენ. რადგანაც უკანასკნელნი ცოტანი არიან, ამიტომ მეტად ცოტა საზოგადო დაწესებულებანი გვაქვს. ყოველ ახალ საქმის დაწყებას უმრავლესობა ეჭვით უყურებს, არა სწამს დაწყებულ საქმის ხანგრძლივი სიცოცხლე.

რას მოგვცემს სამეურნეო ცოდნა თუ ხასიათის სისუსტე, ეს ჩვენი მუდამი სტუმარი, არ მოვიშორეთ თავიდგან და თან არ გავაყოლეთ შეუფერებელი ცხოვრება? თუ დათესილი სტაფილო მოგვივა, შეუფერებლობა გადაგვიძოვს, ამოღებას არ დაგვაცლის და, თუ ერთხელ სტაფილოს ბადლად ჭინჭარი მოგვივიდა, გავიწოდებთ ხელს. რას მოგვცემს ან იაფი კრედიტი, თუ ეს ძალად მოკერებული ფრატი-ფრუტი და შიგ გახვეული გათახსირება, რომელიც ისეა მორთული, რომ პატიოსნობის როლს თამაშობს არ მოვიგლიჯეთ და შორს არ გავსტყორცნეთ, რომ მისგან სულით დამდაბლებულთ სმასა და ქეიფში ფულებში არ დავხარჯოთ იაფად ნაშოვნი კრედიტი? ოჯახი თავისუფალია ყველა დამოუკიდებელ მიზეზისაგან, აქ არავის ხელი არა აქვს. ამით უნდა ისარგებლოს ოჯახმა განიწმიდოს თვით ყოვლისა მწიკვლისაგან და

ისე აღზარდოს მან თვისი შვილი,
რომ წინა ჰქონდეს ჭეშმარიტება
და უკან კვალი განათლებული.

ნადიკვრელი

ვა ურემში, ძრიელ წუხდება და, მორჩენის მაგიერად, მკვდარი მოჰყავთ ისევ შინ.

ვინ იცის, როდის რა ეშველება ხალხს და როდის გამოვა ამ გონებრივ სიბნელიდან!

მეთვალყურე

## წინააღმდეგობა, თუ გაუგებრობა?

(პასუხად ბ-ნს ღრიანკელს)

ვსთქვათ თქვენ წარმოსთქვით ამისთანა მსჯელობა: სანდრო ჰკვიანი ვაჟია, მაგრამ ხანდახანა სცდება. გულუბრყვილო მსმენელი ამ აზრს ლოგიკური მხრივ კანონიერად ჩასთვლის და დავას არ აგიტეხავთ. მაგრამ თუ რომელიმე სულიერი, დამსწრე ამ მსჯელობისა, გამსჭვალული პოლემიკური ქავილით, გაკილვის მადით, იგი თქვენს აზრს უთუოდ კუდს გამოაბამს, წინააღმდეგობას გამოსჩხრეკს და თამამად გეტყვით: თუ სანდრო ჰკვიანია, მაშ რაღათა სცდება, და თუ სცდება, რიღას ჰკვიანი ყოფილაო, და გააბამს ქსელს თავის მჭევრ-მეტყველობისას.

ცოტა არ იყოს, ეს გაკილვის მადით გამსჭვალული პირი წარმოგვიდგა თვალ-წინ, როდესაც ჩვენ წავიკითხეთ ,,ივერიაში'' გარჩევა ჩვენის რუსულის წერილისა ,,Нормальное Письмо", რომელიც შეუთხუზავს ბ-ნს ღრიანკელს. თუმცა მრუდე აზრი არა ერთია შიგ მოქცეული; მაგრამ ჩვენ ახლა ბევრს არ გამოვეკიდებით. მივაქცევთ ყურადღებას მხოლოდ ერთს განსაზღვრას წერის კანონისას, რომელიც ჩვენს კრიტიკოსს სჩვენებია წინააღმდეგობად ჩვენის დედა-აზრისა.

ირიბის ხელის მომხრენი ამბობენ: თუ წერის დროს ქაღალდი სწორედ, პირდაპირ დაიდეთ თქვენ წინ, სტრიქონებს ვერ გაავლებთ, წერას ვერ მოახერხებთ, უკეთუ წამ-და-უწუმ არა კაკვეთ, არა კრუნჩხეთ მარჯვენა ხელი; ხოლო ამ კრუნჩხვას მოსდევს არა მარტო ტკივილი და მალე დაღალვა, არამედ ერთი ავადმყოფობაც ხელისა, სახელდობ სამწერლო კრუნჩხვა (писчій спазмъ). ეს საბუთი შეთხუზული, მოჭრილი საბუთი არ არის; მას აქვს ნამდვილი, რეალური საფუძველი და დამყარებულია გამოცდილებაზედ. იგი, სხვათა შორის, მოჰყავს, როგორც დამაბრკოლებელი მიზეზი პირდაპირის წერისა, გამოჩენილს დოქტორს რობილანდს თავის შესანიშნავს თხუზულებაში «Школьная Гигіена», რომელიც ორის წლის წინედ გამოსცა ცალკე წიგნად იმისთანა სერიოზულმა ჟურნალმა, როგორიც არის „Вѣстникъ Воспитанія". ამ საბუთს რომ მხარი აუქციოთ, თვალები დავხუჭოთ, განა ეს პასუხი იქმნება? არა, მოწინაალმდეგეთ სრულს საფუძველს მივცემთ სთქვან ჩვენზედ: ჩვენ საბუთს გაექცნენ, რადგანაც ვერაფრის თქმა ვერ მოახერხესო.

როდესაც მე პირველად ვსწერდი სტატიას ქართულს ენაზედ ირიბის ხელის წინაალმდეგ, ერთი გამოცდილება მოვახდინე. ბევრმა ქართველმა იცის, რომ განსვენებული დიმიტრი ბაქრაძე რუსულად სწერდა ირიბი ხელით, ხოლო ქართულად პირდაპირი ხელით. ორივე ხელი მშვენიერი იცოდა. მივედი ტკბილსა და დაუზარელს დიმიტრისთანა და ვსთხოვე ჩემ თვალ-წინ დაეწერა მამაო ჩვენო რუსულად და ქართულად. სურვილი იმ წამსვე შემისრულა. რუსულის წერის დროს ჩვენმა სასიქადულო ისტორიკოსმა ქაღალდი დაიდო სრულიად ალმაცერად, ირიბად, ასე, რომ მარცხენა ნაპირი ქაღალდისა მარჯვენა გვერდს გასცქეროდა. ქართული წერა რო დააპირა, ქაღალდი მოაბრუნა; მაგრამ სრულიად პირდაპირ არ დაიდო წინა, ცოტა ირიბი მდებარეობა მისცა და ქართული მამაო ჩვენო დასწერა პირდაპირი ხელით იმისთანავე სისწრაფით, და იმავე ხნის განმავლობაში, როგორც რუსული მამაო ჩვენო...

ამის შემდეგ მე ვსთხოვე ქაღალდი სრულიად სწორედ დაედო და ისე ეცადნა ქართული პირდაპირი წერა. სცადა; მაგრამ ორივემ ცხადად დავინახეთ, რომ ამ პატარა ცვლილებამ დიდი დაბრკოლება დაბადა: კალამი ზევით იწევდა, ხელი უნდა წამ-და-უწუმ ეკრუნჩხა და ნიდაყვისათვის ხშირად ეცვალა ადგილი. ეს მოვლენა შეუძლიან შეამოწმოს ყოველმა მკითხველმა და საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდეს მასში.

ეს დაბრკოლება კ რგად აქვთ შეგნებული ყველა წერის ხელობის მცოდნეთა და ამიტომ როდესაც პირდაპირი ხელის მომხრენი ამბობენ: ქაღალდი პირდაპირ უნდა იდოსო, ზედ დაუმატებენ ხოლმე დაახლოებით (приблизительно), და თუ არ უმატებენ, ეს, უმეტეს ნაწილად, იგულისხმება მათგანა. მეც ჩემს წერილში ამას ვამბობ: რათა ხელმა თავისუფლად იმოძრაოს ქაღალდზედ და სვას დაუბრკოლებლივ პირდაპირი ასოები, საჭიროა ქაღალდი დასდოთ ცოტათი ირიბად, სახელდობრ იმდენად, რომ კალამი წარმოადგენდეს პარალელურ ხაზს ქაღალდის გვერდებთანა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ თქვენ ქაღალდს მთლად სწორედ დასდებთ, სტრიქონები ზევით გაიწევენ, ხელის კრუნჩხვა და ნიდაყვის გარდანაცვლება ხშირად დაგჭირდებათ, და თუმცა თქვენ ასცდებით მარცხნივ ირიბს ხელსა, მაგრამ სამაგიეროთ მოგივათ მარჯვნივ ირიბი ხელი, რაც უარესია პირველზედა. მცირეოდენი დაირიბება ქაღალდისა არც პირდაპირ ჯდომას აბრკოლებს, და არც თვალების ნორმალურს მდგომარეობას და ტრიალს უშლის...

ეს განსაზღვრა (ограниченіе) პირდაპირის წერის კანონისა არამც თუ არ ეწინააღმდეგება მას, არამედ განამტკიცებს, შეურყეველად ხდის. უამისოთ მაგ კანონს ადვილად გამოუთხრიან ძირს მიმდევარნი ირიბის ხელისა.

ეხლა თვითონ მკითხველმა განსაჯოს: ჩვენ ვართ დამნაშავენი წინაალმდეგობაში, თუ კრიტიკოსი გაუგებრობასა და ცუდ-უბრალო კილვაში?

იაკობ გოგებაშვილი

## წერილები რედაქციის მიმართ

I

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს წერილს დაუთმოთ ცოტა-ოდენი ალაგი თქვენის გაზეთის ერთ-ერთ უმახლობელეს ნომერში და მით მომცეთ შეძლება უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმათ, ვინც სამტრედიის საჯარო ბიბლიოთეკას აღმოუჩინეს ზნეობრივი და ნივთიერი შემწეობა: სერგეი ირაკლის ძე მესხს, რომელიც გარდა ზნეობრივის თანაგრძნობისა, წარსულ წელში ყოველ თვეში სამ მანეთს სწირავდა ამ ბიბლიოთეკას. ბლაღოჩინს მღვდელს მ. ერმალოზ განდელაკს, რომელმაც ამ თვითვე შემოსწირა ბიბლიოთეკას 20 მანეთი და მომავალშიაც აღუთქვა ზნეობრივი და ნივთიერი დახმარება. კოსტა ზ. კაჭეიშვილს, რომელმაც შემოსწირა 5 მ., ბესარიონ კ. კაკაბაძეს, რომელმაც შემოსწირა 5 მ., თ. გ. ბ. მიქელაძეს, რომელმაც შემოსწირა 3 მანეთი. «ივერიის» რედაქციას, რომელიც ბიბლიოთეკის დაარსებიდან უგზავნის უფასოდ თითო ცალს თავის გაზეთისას. და მ. დავით ღამბაშიძეს, რომელმაც აღუთქვა თავისი გაზეთის რუსულ-ქართული ნომრები ამ წლის პირველ იანვრიდან.

პეტრე გელეიშვილი

დ. სამტრედია 1894 წ. 8 თებერვალი

II

ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გამოვუცხადო თქვენს რედაქციას, გაზეთ „კვალისას", და „ახალ მიმოხილვისას", რომელნიც გურიის სახალხო წიგნთ-საცავს უგზავნიან უფასოდ თავიანთ გამოცემას.

გამგე წიგნთ-საცავისა ჯამულეთ ბაქუნაიშვილი

# რუსეთი

2 თებერვალს პეტერბურგში კრება ყოფილა სოფლის მეურნეთა, რომელზედაც ს. ა. კარალენკო ეცადა გამოერკვია და აღენიშნა მახლობელი მიზეზი რუსეთში საქონლის მოშენების შესუსტებისა, ხვნა-თესვის გაძლიერებისათანავე, და შედეგი ასეთის მოვლენისა. საქონლის მოშენება რუსეთში იმდენად დაეცა და დაუძლურდა, რომ სრულიად დაჰკარგა მნიშვნელობა ვითარცა წარმოების ცალკე შტომ. მიწად-მოქმედნი საქონელს სწორედ იმდენს ინახავენ, რამდენიც სამუშაოდ სჭირდებათ. თეორიით მეურნეობის მცოდნენი იმ აზრს ადგანან, რომ ეს ასეც უნდა იყოს, რადგან საქონლის მოშენებას უფრო ნადირად მყოფი ხალხები მისდევენ და განვითარებასთან ერთად საქონლის მოშენება უნდა შესუსტდესო. ეს, ვსთქვათ, ასეა, მაგრამ არავის ხომ ეჭვი არა აქვს, რომ ინგლისსა, ბელგიასა და სხვა ქვეყნებში მიწა უფრო ძვირადა ჰფასობს, იქ კულტურაც უფრო მაღლა სდგას, ვიდრე რუსეთში, მაგრამ მაინც საქონლის მოშენებას ძალიან მისდევენ. ინგლისში, მაგალითებრ, ყოველ ას სახნავ დესეტინაზედ 134 სხვილფეხა საქონელი ჰყავთ, რუსეთში-კი მხოლოდ 33. საქონლის მოუშენებლობას-კი დიდი ზარალი მოაქვს რუსეთისათვის, რაიცა ამითიც აშკარადა სჩანს. 1869 წელს რუსეთიდგან 136,000 სხვილ-ფეხი საქონელი გაიყვანეს საზღვარ-გარეთ, ხოლო 1891 წელს-კი მხოლოდ 12,000; 1878 წელს 598,000 ცხვარი გაიყვანეს, ეხლა-კი 290,000 ძლივს გაჰყავთ; ღორი 750,000-მდე გაჰყავდათ, ეხლა-კი მხოლოდ 79,000 გაჰყავთ. საქონლის გაყვანის სიმცირესთან უცხო ქვეყნებში ამ ბოლოს დროს ბლომად გაძქთ საქონლის საკვები. უცხო ქვეყნელებს უანგარიშნიათ და იმ აზრს დასდგომიან, რომ უფრო სასარგებლოა, რუსეთიდგან საკვები გამოვიტანოთ და ჩვენვე მოვაშენოთ საქონელიო. დასასრულ კარალენკომ განაცხადა თურმე, რომ კარგი იქმნებოდა საქონლის მოშენების გაძლიერებისათვის იზრუნოს როგორც მთავრობამ, აგრეთვე თვით საზოგადოებამაცაო.

—

მთავრობას განუზრახავს მოსპოს საა̆ტო ქაღალდის გარდასახადის აღება. ეს გარდასახადი შემოღებული იყო ნოტარიუსთა დაწესებამდე და აქამდე ერთმევა ხალხს. ეხლა-კი მთავრობას მძიმე ტვირთად დაუნახავს იგი იმის გამო, რომ ნოტარიუსში რომელისამე აქტის, ხელშეკრულობის დამდებნი გერბის ვარდასახდსაც იხდიან და, ამას გარდა, სანოტარიუსო ხარჯსაც ყწევიან. სახელმწიფო ხაზინაში აქტის გარდასახადი წელიწადში ნახევარ მილიონამდე შედის.

—

განუზრახავთ შემოიღონ მუშათა საურთიერთო დაზღვევა მუშაობის დროს უბედურ შემთხვევათაგან და პენსიის გაჩენა დაზარალებულ მუშათათვის. დამფუძნებელნი უკვე შესდგომიან ამ საზოგადოების წესდების პროექტის შემუშავებას. პროექტი ამ წლის აპრილის დამდეგამდე დამთავრებული იქნება თურმე.

—

ამას წინად პეტერბურგში ქ-ნს ვოლკოვას საჯარო ლექცია წაუკითხავს «დედათა ჯან-მრთელობის დაცვის» შესახებ. სხვათა შორის, ლექციის წამკითხველმა სთქვა თურმე, რომ ახალგაზდა ქალიშვილები უმეტესად იმის გამო, ჰხდებიან ავად და სნეულდებიან, რომ წამოთქვირების დროს მეტად ვიწრო, ტანში-მოჭერილს ტანთსაცმელს იცვამენ და ვიწრო ფეხთსაცმელსაო.

—

მინისტრთა კომიტეტს სამართლიანად დაუნახავს, რომ პირველ-დაწყებით სასწავლებლების მასწავლებელ-ქალების წასაქეზებლად განსაკუთრებულად პატივსაცემს შემთხვევაში ამ ქალებს მედალი მიეცეთ ხოლმე ჯილდოდაო.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** ანარხისტებს განზრახვა ჰქონდათ ვალიანის სამარეივრის სასაფლაოზედ ანარხიზმის ქაბად გადაექციათ. ამ ორიოდე კვირის წინად რამდენიმე მანიფესტაცია გაჰმართეს ანარხისტებმა ამ სასაფლაოზედ. ანარხისტებს გარდა, ამ ვითომ და „წამებულის" სამარეზედ იყვნენ სოციალისტები, სიმვოლისტები, მისტიკები და სხვაუღიარებელი პოეტები, მხატვრები და მწერლები, შეამკეს სამარე ყვავილებით, გრძნობით სავსე სიტყვებს ამბობდნენ, ლექსებს კითხულობდნენ. ამის გამო ვალიანის სამარეზედ დარაჯი იქმნა დაყენებული. ამ მანიფესტაციებთან ერთად ზოგიერთმა გაზეთებმა ვალიანის დასჯის გამო გაახშირეს მთავრობისა და პარლამენტის ცუდად ხსენება, მუქარა სახელმწიფოს მეთაურის წინააღმდეგ. მთავრობა მაინც თავისს გზასა და კვალს ადგას და აშკარად ამტკიცეს, რომ დიდი ხანია წარვიდა ის დრო, როდესაც ანარხისტთა გაზეთები კარნოს „ადამიანის სახიანს ვეფხს" ეძახდნენ დაუსჯელად. ამას ბრეტონის დასჯის ამბავიც კარგად ასაბუთებს. ბრეტონი სწერდა თავისს გაზეთს „Carti Socialiste"-ში, რომ თუ კარნო ვალიანს არ აპატიებს, ისეთს დღეს მოესწრება, რომ ყუმბარა იმისაკენაც გაინავარდებსო, და თუ ეს ასე მოხდა, საფრანგეთში ეს სამწუხაროდ არც აღარავის დარჩებაო. ეს ბრეტონი სულ 22 წლის ყმაწვილი კაცია. ნაფიც მსაჯულებმა ბრეტონი დამნაშავედ იცნეს და ორის წლით საპატიმროში დაპატიმრება და 1,000 ფრანკის ჯარიმად გარდახდევინება მიუსაჯეს.

—

**საფრანგეთი და იტალია.** იტალიის გაზეთების უმრავლესობა ამ ჟამად რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ხელ-შეკრულობის შესახებ ჰლაპარაკობენ და თან დასძენენ, რომ შესაძლებელია ამ ხელ-შეკრულობას შედეგად საფრანგეთსა და იტალიას შორის არსებულ ურთიერთობის განკარგება მოჰყვესო. სწერენ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ პარიჟიდგან იტალიის ელჩი რესმანი ასე საჩქაროდ წავიდა რომშიო. «Fanfulla» დაბეჯითებით ამბობს, რომ როდესაც ელჩმა რესმანმა ტურინზედ ჩაიარა, სიტყვა— გაკვრით განაცხადა კიდეც, კრისპიმ იმიტომ დამიბარა, რომ საფრანგეთთან დაახლოვების შესახებ მომელაპარაკოს, რადგან აწინდელი საქმეთა ვითარება ხელს უწყობს და უმართავს ასეთ დაახლოვებასაო.

## † პროფესორი ბილროტი

ამას წინად ვენაში გარდაიცვალა შესანიშნავი გერმანელი ექიმი ბილროტი. უცხოთათვის ეს გარდაცვალება ბილროტისა უეცარი, მოულოდნელი იყო, უცხოთათვის-კი, მხოლოდ თვით ბილროტი ყოველს თავის მაჯის ცემას თვალ-ყურს ადევნებდა თურმე და სიკვდილის ორის დღის წინად შეადგინა ნუსხა იმ მახლობელთა, რომელთათვისაც საჭირო იყო ეცნობებინათ მისის გარდაცვალების ამბავი. ვენის გაზეთებში უკვე დაბეჭდილია ბილროტის წერილები, მეგობრებთან მიწერილი, რომლიდგანაც სჩანს, რომ ბილროტი, შესანიშნავ ექიმობას გარდა, დიდად წარჩინებული ადამიანიცა ყოფილა. იმ წერილში, რომელიც სიკვდილის ორის კვირის წინად არის მოწერილი აბბაციიდგან, ნათქვამია, რომ ძნელია იმ ადამიანმა, რომელიც სიკვდილის მოახლოვებასა ჰგრძნობს, ამისი გრძნობა დაჰფაროს მახლობელთაგანაო. ის გრძნობა, რომელიც მინდა არავინ შემიტყოს, სიკვდილის მოახლოვებისა გამო აღძრული შიში-კი არ არის, გულგრილობაა ყოველისავე იმის მიმართ, რაც აღელვებს და აშფოთებს ჩემს გარშემო მყოფთ. ჩემთვის სიცოცხლეს ეხლა ის ფასი-ღა აქვს, რომ დავსტკბე ბუნებითა, მშვენიერებითა და გონიერის აზრით. სამწუხაროდ, ჩემი ტვინი ვეღა ჰმუშაობს და ჩამეძინება ხოლმე ისეთს წიგნებზედაც-კი, როგორიც არის ჰელმგოლცის წერილი. დიდად მოხარული ვარ, რომ ბოლომდე ჩავიკითხე ჰომპერტიცის წიგნი «საბერძნეთის მოაზრენი», ეს ერთი საუკეთესო წიგნთაგანი ამ ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში გამოცემულ წიგნთა შორის. ვგრძნობ უკანასკნელის წუთის მოახლოვებას და ვეკი-

თხები ჩემს თავს, რომ, თუ ადამიანურ ანგარიშის კვალობაზედ ვიანგარიშეთ, ჯერ ხომ არც ისე მოხუცებული ვარ, რომ სიკვდილის კარამდე მიმეხწიოს-მეთქი. მაგრამ რა გაეწყობა, მანფრედთან ერთად მეც შემიძლიან ვსთქვა, რომ წელთა სვლასკი არ მიაქვს მოხუცება, არამედ იმას, რასაც ჩვენ ცხოვრებაში გამოვივლით ხოლმე". სოცინმა მართალი სთქვა, რომ წლოვანება წელთა სრბოლით-კი არ აღინიშნება, არამედ ჩვენის არტერიების (მფეთქელ ძარღვების) მდგომარეობით.

ვენის გაზეთებში ათასი მაგალითია მოყვანილი იმის დასამტკიცებლად, რომ ბილროტი მეტად კეთილი კაცი ყოფილა, თანამგრძნობელი მახლობელის ტანჯვისა და მწუხარებისა. ამ შესანიშნავ დოსტაქარის ნაშთს სასაფლაომდე მისდევდნენ ღარიბნი. სტუდენტები და ექიმები ცხარე ცრემლითა სტიროდნენ ბილროტის სიკვდილს. საზოგადოებაში ამბობდნენ, რომ ძნელად თუ ვენას ბილროტისთანა ექიმი ჰყავდეს ოდესმე-ღაო. ქალაქმა ვენამ ბილროტის გვამი საპატიო სამარეში დაჰკრძალა.

## გასართობი

—

ალექსანდრე მაკედონელის მთავარ-სარდალი იმ აზრისა იყო, რომ გალაშქრების ამბავი სარდალმა თითონ უნდა შეინახოს საიდუმლოდ და არავის გაუზიაროსო. ერთხელ იმისმა შვილმა დიმიტრიმ ჰკითხა:

— ბანაკიდგან როდის ავიყრებითო.

— რასა ჰკითხულობ, განა გეშინიან, რომ საყვირის ხმას ვერ გაიგონებო? უპასუხა ანტიგონმა.

**

წმ. ტერეზია ეშმაკის შესახებ ამბობდა ხოლმე: „ეშმაკი ის უბედური ქმნილებაა, რომელიც სიყვარულს ვერასოდეს ვერ იგრძნობსო."

**

რომის პაპა კათოლიკეთა აზრით ამ ქვეყნად მოადგილეა მოციქულის პეტრესი, რომელსაც, საღმრთო წერილით, სამოთხის გასაღები აბარია. პაპა სიქსტ მე-V, ვიდრე პაპად ამოარჩევდნენ, წელში მოხრილი დადიოდა და შემდეგ-კი წელში გაიმართა. როცა ვიღაცამ ჰკითხა მიზეზი ასეთის ცვლილებისა, უპასუხა:

— როდესაც მხოლოდ კარდინალი ვიყავ, სამოთხის გასაღებს ვეძებდი და ამიტომ თავდაღუნული დავდიოდი, რომ მეპოვნა და ამეღო; ეხლა-კი, რა-კი ჩემს ხელთ არის ეს გასაღები, ცას უნდა შევყურებდე და ამიტომ ვარ წელში გამართულიო.

## გამოსადეგი ცნობა

—

ლამპის სანათის გაწმენდა. მხოლოდ ლამპის სანათს ასე უნდა გაწმენდა: მოიღეთ კაკლისოდენა სოდა (ბორაკი) და გახსენით ერთ ტოლჩა წყალში, ჩააგდეთ შიგ სანათი და შედგით ცეცხლზედ, რომ წყალი ადუღდეს. ამ ადუღებულს წყალში ხუთს წუთს იყოს სანათი მერე ამოიღეთ, სუფთა წყალში გარეცხეთ და გაამშრალეთ: სანათი სრულიად ახალს დაემგზავსება. ლამპა რომ არა ბოლამდეს, ლამპის პატრუქი ჯერ მაგარს ძმარში დაასველეთ, მერე გააშრეთ და ლამპას ისე გაუკეთეთ. ასეთ პატრუქს სინათლეც-კი უკეთესი ექმნება.

# დეპეშა

9 თებერვალი

**პეტერბურგი.** უსურიის რკინის გზის კეთება თანდათან წინ მიდის. მიმოსვლა მატარებლებისა უკვე დაიწყო 184 ვერსის მანძილზედ. 1 იანვრამდე კერძო საქონელი 137,550 ფუთი გადუტანიათ და აუღიათ 30,994 მანეთი. ხელმწიფე იმპერატორმა გადაათვალიერა ჟურნალი სიბირის რკინის გზის კომიტეტისა და ზედ დააწერა: „ფრიად სასიამოვნოა".

განზრახვა აქვთ ისე მოაწყონ საქმე რკინის გზებზედ, რომ მგზავრთ ვაგონებიდამ ვაგონებში გადასვლა არ უნდოდეთ უმთავრესს ქალაქებ შორის მიმოსვლის დროს.

დაბოლოვებით შემუშავებულ იქმნა უმთავრესი დებულება ახალ ძირითადს დაწესებულებათა გზათა სამინისტროში.

**პარიზი.** პალატამ უარ-ჰყო სარჩიელი ცვალებადის ბაჟის შემოღებისა პურზედ.

**მარსელი.** ქალაქის საბჭო წინააღმდეგია პურის ბაჟის მომატებისა და პურის საწყობთა დღევანდელ წესის შეცვლისა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ შეიწყნარა წინადადება გლადსტონისა, ნუ განვიხილავთ ბილს იმათ პასუხის გების შესახებ, რომელნიც სამუშაოს აძლევენ მუშა-ხალხსაო. გლადსტონმა სთქვა, რომ მუშათა დიდს უმრავლესობას არ მოსწონს ლორდების მიერ შემოღებული ცვლილებანი.

**პარიზი.** შეწყნარებულ იქმნა სარჩიელი, რომ 7 ფრანკი დაიდოს ბაჟად პურზედ.

**ვენა.** დღეს გამოცხადდა განაჩენი სასამართლოსი ომლადინების საქმის შესახებ. 8 კაცს სახელმწიფო ღალატისათვის გაუჩინეს დაპატიმრება 2—8 წლის ვადით, 6 ბრალდებულს წესიერების დარღვევისათვის გადუწყვიტეს დაპატიმრება 2—8 თვის ვადით, 11-ს დაპატიმრება მცირეს ხნით, 2 გამართლებულ იქმნა.

პეტერბურგის ბირჟა, 8 თებერ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,47 | 7½ | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 149½ | 150 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 242¾ |
| —მეორისა . . . . | | — ,, | 227¾ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მოგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . . | 101 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | 98¼ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 101⅜ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | 98¼ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¼ | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, 11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**კახეთის ახლად შემდგარს ვენახების პატრონთ ამხანაგობა,** დაარსებულია იმ აზრით, რომ ადგილობრივ და შიდა რუსეთის ბაზრებში გაიტანოს ნამდვილი კახური ღვინო ამ ამხანაგობის წევრთა ვენახებისა. ამხანაგობამ მოქმედება დაიწყო ამა წლის 5 თებერვლიდგან.

ნარდად და წვრილ-წვრილად გაიყიდება ტფილისს, ამ საზოგადოების საწყობ სარდაფებსა და მაღაზიებში; 1) მიხაილოვის ქუჩაზედ, სლივიცკის სახლში № 81; 2) ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლაში.

(10—6)

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—160)

## „მზა-მეტყველება“

თხზ. ანტონ კათალიკოზისა

იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ და „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიებში.

ფასი ორი მანათი და ათი შაური.

(5—5)

# РУССКОЕ ОБОЗРѢНІЕ.

(Годъ V).

**Книга II (февраль).**

I. ПИСЬМА КЪ П. В. АННЕНКОВУ И. С. Тургенева. Съ примѣчаніями Л. Н. Майкова.—II ПОГРОМЪ. Романъ. Гл. V—IX. К. Орловскаго.—III. ПО БѢЛУ СВѢТУ. Путевыя замѣтки. Г. А. Де-Воллана.—IV. НА ПРОЩАНЬЕ. Стихотвореніе. И. С. Аксакова.—V. БЕСѢДЫ И ПИСЬМА СВѢТСКАГО ЧЕЛОВѢКА О ПРЕДМЕТАХЪ НЕ СВѢТСКИХЪ. (Къ еврейскому вопросу.) Ст...—VI. ГЕНЕРАЛЪ МАХОВЪ. Историческій разказъ (1824 г.) Гл. V—VII. Графа Е. А. Саліаса.—VII. ПЕТРЪ ВЕЛИКІЙ ВО ФРАНЦІИ. Д. В. Цвѣтаева.—VIII. ОБРАЩИКИ БЫЛЫХЪ ЛЮДЕЙ. (Изъ Souveniers d'enfance Ренана.) Гл. III—VII. (Окончаніе.) Переводъ съ французскаго Н. Н. Страхова.—IX. НѢСКОЛЬКО МЫСЛЕЙ О РЕЛИГІОЗНОЙ ЖИВОПИСИ. Ю. Николаева.—X. ГВАРДІИ ШТАБСЪКАПИТАНЪ. Разказъ I. I. Ясинскаго.—XI. ЗАПИСКИ О ПРОШЛОМЪ. Гл. IX. П. П. Суворова.—XII. ЗИМНЕЕ УТРО. Стихотвореніе. В. Н. Лясковскаго.—XIII. ИЗЪ ПРОВИНЦІАЛЬНОЙ ЭКСКУРСІИ. Гл. I—VI. Мирнаго обывателя.—XIV. КРУЖНЫМЪ ПУТЕМЪ. Романъ. Часть первая. Гл. I—VI. М. Зинина.—XV. САТИРИЧЕСКІЯ КАРТИНКИ КАКЪ МАТЕРІАЛЪ ДЛЯ ИСТОРІИ РССІИ. Гл. III—IV. (Окончаніе.) А. П. Новицкаго.—XVI. ПО ПОВОДУ УЧРЕЖДЕНІЯ УЧАСТКОВЫХЪ ЗЕМСКИХЪ НАЧАЛЬНИКОВЪ И ИХЪ ДѢЙСТВІЙ. В. Н. Семенковича.—XVII. МАДОННА. (Флорентинское сказаніе.) Стихотвореніе. В. С.—XVIII. «НЕ УГАШАЙТЕ ДУХА!» Гл. IV. Н. П. Аксакова.—XIX. МАТЕРІАЛЫ ДЛЯ ХАРАКТЕРИСТИКИ РУССКИХЪ ПИСАТЕЛЕЙ, ХУДОЖНИКОВЪ и ОБЩЕСТВЕННЫХЪ ДѢЯТЕЛЕЙ: Н. С. ТИХОНРАВОВЪ. (Очеркъ его учено-литературной дѣятельности.) Д. Д. Языкова.—XX. ОТРАДНЫЯ ВѢСТИ СЪ ЗАПАДА. (Письмо изъ Лондона.) Свящ. Е. К. Смирнова.—XXI. МУЗЫКАЛЬНОЕ ОБОЗРѢНІЕ. Н. Д. Кашкина.—XXII. ЛѢТОПИСЬ ПЕЧАТИ: 1) Къ чему приводитъ нашъ споръ? 2) Изъ газетъ и журналовъ. Л. А. Тихомірова.—XXIII. ОБОЗРѢНІЕ ДУХОВНОЙ ПЕРІОДИЧЕСКОЙ ПЕЧАТИ ЗА ИСТЕКШІЙ ГОДЪ. (Окончаіе.) Свящ. I. И. Соловьева.—XXIV. БИБЛІОГРАФІЯ.—XXV. НОВОСТИ ИНОСТРАННОЙ ЖУРНАЛИСТИКИ. Е. Г.—XXVI. ИНОСТРАННОЕ ОБОЗРѢНІЕ.—XXVII. ВНУТРЕННЕЕ ОБОЗРѢНІЕ.—XXVIII. ОБЛАСТНОЙ ОТДѢЛЪ: 1) Изъ Варшавы. А. А. Сидорова. 2) Изъ Вильны. А. П. Владимірова. 3) Изъ Либавы. А. А. Башмакова.—XXIX. КНИГИ ПОСТУПИВШІЯ ВЪ РЕДАКЦІЮ.—XXX. ОБЪЯВЛЕНІЯ.

Въ слѣдующей (мартовской) книгѣ будетъ напечатанъ отрывокъ изъ драматической хроники Шекспира, КОРОЛЬ ГЕНРИХЪ IV, въ переводѣ К. Р.

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1894 ГОДЪ.

Подписная цѣна (въ предѣлахъ Имперіи) съ пересылкой и доставкой, на годъ—**15 руб.**, на полгода—**7 руб. 50 коп.**, 3 мѣс.—**3 руб. 75 коп.**, 1 мѣс.—**1 руб. 25 коп.**

Для лицъ духовнаго званія, для гг. преподавателей высшихъ среднихъ и низшихъ учебныхъ заведеній, для лицъ военнаго сословія и для учащихся въ высшихъ учебныхъ заведеніяхъ: 1 годъ—**12 руб.**, 6 мѣс.—**6 руб.**, 3 мѣс.—**3 руб.**, 1 мѣс.—**1 руб.**

Учрежденіямъ правительственнымъ и общественнымъ и лицамъ, находящимся въ оныхъ на службѣ, предоставляется выписывать журналъ въ кредитъ.

Съ пересылкой за границу—**18 руб.**

Письма, рукописи и посылки адресуются такъ: *Москва, редакція „Русскаго Обозрѣнія“ (уг. Тверской и М. Гнѣздниковскаго пер., д. Спиридонова).*

Редакторъ-издатель АНАТОЛІЙ АЛЕКСАНДРОВЪ.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან
ვალ. გუნიას მიერ
შედგენილნი და გამოცემულნი

## საქართველოს კალენდარი 1894 წ.

წიგნი შეიცავს 576 გვერდს დიდის ფორმატისასას, დასურათებულია ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ნახატებით და კავკასიონის რუკით.

ფასი 50 კაპ.

## უბის წიგნი 1894 წლისათვის

მშვენიერის ყდით, ყარანდაშით და რეზინით.

ფასი 40 კაპ.

## საოჯახო კედლის კალენდარი 1894 წ.

მშვენივრად დასურათებულს კარდონზე, ორ კრასკიდ დასტამბული უქმეების და ამინდების აღნიშვნით.

ფასი 20 კაპ.

## სახალხო კალენდარი 1894 წლისათვის

შეიცავს 64 გვერდს მცირე ზომისას, მრავალ საჭირო ცნობებით და ორის სურათით

ფასი 5 კაპ.

ზემოდ ხსენებული წიგნები ისყიდება ქ. ტფილისში „წერა-კითხვის გამავრცელებელ ამხანაგობის“ და ხიდეკელის წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში ძმ. წერეთელთან, ძმ. ჭილაძესთან, ბეჟანიშვილთან და ხეთერელთან, ბათუმში კალანდაძესთან, ხონში წერეთელთან, ფოთში ტულუშთან, სენაკში და ოზურგეთში თავართქილაძესთან და სხვაგანაც.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან, ტფილისი, ფრეილინის ქუჩა № 7.


Доз. ценз. Тифлисъ, 10-го Февраля 1894 г.     სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.     რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე